

## ხელნაწერი: ... (A-530), XIX ს. მინაწერები

118r

რუსთაველო ახ თუ დრო გაქვს მიტომ აგეთ ლექსთა ჩმახავ  
ადექ მოდი ერთად დავსხდეთ ერთად ვსწეროთ მაშინ გნახავ  
ნაგაზივით წამოგწვდები ეს მე ვიცი ვერ გაგლახავ  
ამას წინათ შენს დროებში დაგავიწყებ რაც გინახავს.  
დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სმულსა  
ყვეკასა უხაროდა რიტორსა და ხმა უსულოსა  
საღ-თა და საეროცა ვისაცა აქვს სმენა გულსა  
უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს გონიერსა გულს უსრულსა

117v

განსრულდა ესე ამბავი იანვრის კე-სა დღესა წელსა ჩყლდ.  
ღმერთმან მოახმაროს იორდანე ჯანელიძეს ამინ.  
დავსწერე იოსებ კეპულამე  
ესე წიგნი არის ნესტან დარეჯანის.

118v

გაილო სენაკის და გამოვიდა. იქავ ერთი გლახას ღაზლის ტანისამოსი ეცა ალექსიმ გამოართვა  
გლახასა ტანისამოსი და თავზედ ერთი ძონძი შემოიხვია და წავიდა ზღვისაკენ. იმ გლახამ  
ალექსის ტანისამოსი დამალა ერთი საათი რომ გამოვიდა შეიტყო მისმან მეუღლემან მისი  
განზრახულობა დაიყვირა დიდის ხმითა და ტიროდა ცხარის ცრემლითა. შეიტყო მეკარეებმა და  
ნახეს რომ კარები გაღებულა. აანთეს სამთებლები და შეიძრა ქალაქი დაეძებდნენ დიდის  
ანბებითა თვით ალექსის ფეხქვეშ აგორებდნენ გარეთ თავი მოიგლახაკა და ვეღარ სცნობდნენ.  
თითონაც ღმერთს ევედრებოდა არ მიცნონო ფეხსა ამოჰკრავდნენ ეუბნებოდნენ კაცურ თუმც  
გლახაკ ვარო მეცა ღთის გაჩენილი ვარო. ფეხით ხომა ძვალი და რბილი დამიჩქითეთ და  
წარვიდა ზღვისა პირსა ალექსი ნახა რომა გემი ემზადებოდა იელუსალომისაკენ უთხრა შვილო  
მეცა იელუსალიმსა წამსვლელი ვარო იქა მუნ თვითან ვილოცამო და მუდამ დღესაცა  
ემმახვეწებო

119r

უთხრა ალექსის პირით რათ აგიხვევიათ და რა აიხდით ალექსიმ უთხრა მე საუდაბნოსა  
შეგირდათ ვიყავ და ჩემმა ოსტატმა ასე დამარიგაო ნურავის შეხედამო ნურცა კაცსა და ნურცა  
დედაკაცსა. მერე გემში ჩასო და წავიდნენ მივიდნენ წმიდა სიონსა მთაზედა საცა ჩვენი უფალი  
მოსეს წინასწარმეტყველს გამოეცხადა და ათი მცნებანი ალექსიმ იქ ჯვარი სახე მიწა გათხარა და  
თქვა ესა იყოსო ჩემი საფლავიო და სადგომიო დადგა ალექსიმ იმ ალაგას ოცდა თორმეტი  
წელიწადი მისი საჭმელი ხილი და ბალახი იყო და სასმელი წვიმის წყალი იყო და ლოცვა მუდამ

პირიდან განუშორებელი ჰქონდა მაგრამ სულის მტერი ეშმაკი გადაეკიდა და ასეთი სიყვარული ჩაუგდო გულში რომა როდესაც ალექსის დედა მამა მოაგონებოდა თრთოლა მოზდიოდა ნეტავი იმათი ნახვა მაღირსონო ვინემ წარვიდოდა და ნახა ერთი გემი ეშმაკებოდა დია იერუსალემთა მოვიდა და უთხრა მათ მეც წარმიყვანევით თქვენთვისაც ვილოცამო ჩასვეს მეგემეებმა ალექსი შეიყტვეს ეშმაკით რომ ალექსი გემში ჩამჯდარაო ააღელვეს ზღვა ააქროლეს ქარი დიდი საშინელი ცოტას გაწყდა კინალამ ილუპებოდა და მაგრამ ღმერთსა არ უნდოდა ალექსის დაკარგვა მეორედ ვიდენ იმ ეშმაკთა რომელთაცა გემის წახდება მოინდომეს ამშვიდებს მათ იმა მისი მოთმინება დიდი ხანი ვიცითო ამისა ძალი დაგროვლებლიაო

**119v**

იოზზედაც უფრო მეტი ყოფილიყო ჩვენს საქმე უყუთო მაგასა აღმართ ზღვა აუყენოთ ქარი დიდი საშინელისა გემი თავის დედ-მამის კარზედ მივაგდოთ ვითომ ყმა გლახა არისო როდესაც თავის დედ-მამასა ნახამსო შეკმაზულსაო ამასაც გული შეექნებოთ თავისა დედა მამას გამოცნაურებასა ზედაო აუყენეს ქარი და ღელეს ზღვა გემი მოიტანეს სადაც თავისი დედ-მამ იმყოფებოდა დაინახა ალექსიმ საფრთხური ეშმაკისა მოქმედენა მათ სიბოროტისა და თქვა თავისა გულშია წავალ სახელმწიფო სამართალსა ისინი არ აამებდა და უთხრა ამათ ეგების მოაქცენენ ალექსიმ თქვა თავის გულში წავალთ მამისა ჩემისა კარსაო და იქ ვიქნებოთ მტერი ეშმაკისა და მოყვარე მღთისა და ალექსი ჩამოხდა ზღვის პირსა ნახა თავისი მამა ეფრემ, აბანოშ მივიდა წინ მოუარა ალექსიმ თავყანისცა და უთხრა მე უცხოს ქვეყნიდამ მოსულ ვარო შენი სახელი გამიგონიაო რომ უცხოს მოყვარე გლახის მოყვარე ხარო შენ სუფრის ნაბერტყიც მეყოფაო გარეთ რომ ძაღლებს დაუყრი იმის მეტი წყალობა არ მინდა შენგანო ეს რომ გაიგონა უბრძანა ერთგულ მსახურს წაიყვანეთო საცა სხვა გლახები არიანო ეგეც იქ იყოსო

**120r**

მოიყვანა ალექსი რომ ნახეს ეს სხვა გლახებმა თუ აქ მოიყვანეთ ჩვენ სულ ერთიანათ კარზედ გავალო. მერმე შენის გულისათვისაო ამდენ გლახაკს რომ ვერ გავლალამო ალექსიმ უთხრა გეხვეწები შენო მერედ კარზედ მაინც მიმიყვანეთ. ამ მსახურმაც მოიყვანა კარზედა მეპურესა გაი ბარადა უთხრა ჩვენის ბატონის ბრძანება არისო გლახა აქ უნდა იყოსო დადგა ალექსი იმ კარზედა ოცდა ათი დღე და ღამე იქ დაჰყო. მას უკან უთხრა მეკარემ ადექ საცა გინდა წადიო ორჯელ თუ სამჯელ წიხლი ჩააზილა აქედამ დაიკარგეო გამეცალეო ჩვენი დედოფალი აქეთს გამობრძანებოდა და ზღვისაკენ ჩაივლისო. ერთი შვილი ჰყვანდა ალექსი ერქვაო ჩვენი ბატონი და პატრონი ის იყოო მე გამიჯავრდებიანო შენ რომ აქ ხარო ალექსიმ უთხრა რომ კიდევ მამკალო აქედან ვერსად ვერსად წავალო სამ დღეს უკან გამობრძანდა ალექსის დედა ანანა მრავლის მოახლეებითა მოახლეებმა დაუჭირეს ალექსის ქოჩორი და თრევით დედოფალო ნუ აქნევიანებთ თუმც გლახა ვარო მეც მღვით გაჩენილი ვარო

**120v**

გაუჯავრდა დედოფალი მოახლეებს დაეხსენით მანდ იყოსო ნურავინ გააყვანინებთ. შეხედა ალექსისა ანანამ და თქვა თვალები ჩემიუ ალექსისა მოუგავს არ იცის თუ თავისი შვილი არის.

იქიდან გამოვიდა. ანანა მივიდა ზღვის პირსა და ტიროდა მოთქმიდა ზღვავეო თუ ჩემი შვილი ალექსი შენ ჩაყლაპეო ერთი ნიშანი მოჩვენეო ვაიმე შვილო საყვარელო ალექსი ვაიმე შვილო საყვარელო. ალექსი ვაიმე შვილო თუ ზღვამ ჩაგყლაპაო ვაიმე შვილო თუ ზღვამ ჩაგყლაპაო ვაიმე თუ ნადირმა მოგიტაცაო და შეგჭამაო ვაიმე თუ მტერმა ჩემი საცოდაობა დაიდესო ვაიმე შვილო ღმერთს რაღა პასუხს გავცემო შენ და ჩემი მოღალატეო ასემც დაიწვას მისი წელი და გული როგორათაც ჩემი გული იწვისო ვაიმე შვილო სით გემებო, ვაიმე შვილო მოგიარო, ვაიმე შვილო თუ მშიერი ხარო, ვაიმე თუ მწყურვალი იყავიო ესე ტიროდა უყურებდა ალექსიცა მაგრამ მლთისა ხათრი ერჩივნა დედის ხათრსა როგორათაც სახარებაში სწერია მამა დედა ცოლი შვილი მამული გაუშვი და მე შემომიდექი. თორმეტი წელიწადი თავის დედ-მამის კარზედა დაყო მერე მთავარ ანგელოზი გაბრიელ მოვიდა და უთხრა ჯერ გიხაროდენო მხნე ვარო მღვთისაო ალექსი

**121r**

განისვენა სიხარულში ზეცას იერუსალიმს ალექსიმ [...რტი] აიღო და მურით შელესა დაწერა ესრედ მე ვარ ალექსი მამავ ეფრემ დედა ანანავ ჩემო მეუღლევ მარგალიტო გიხაროდენ მღვდელნო ყოველთა ქალაქთა მთავარნო ნუ სტირით დედავ მამავ და ჩემო მეუღლევ მარგალიტო ნუ შეწუხდებითო ქრისტე მოგცემთ მაგიერსა ჩემსა სიხარულსა თქვენ ამ ქვეყანასა მეძებდით მაგრამ მე ზეცას ვეძებდიო მოიხსენე დედავ შენ რომ გამოხვიდოდი თან მოახლეები მოგდევენენ დამიჭირეს ქოჩრით და აქათ- იქით მათრიესო.

ამ თქმულების დაბლა არის მინაწერი სხვა ხელით:

ესე წიგნი ეკუთვნის მღვდელს იაკობ ჭავჭავაძეს

18 4 49

15

**122 v**

ჩყლე წელს მაისს თერთმეტსა დღესა მოვიდა თოვლი მიწა ხავს მე მარკოზას ამ ნიშნობით ვიდექ დასაქცევ ვერაზედ.

**ხელნაწერის ყდაზე**

პირველი თავი ევა გარდა[.....] ხილი წაულო ადამს მიართვიო ნახე როგორ ტკბილია. ადამის მონათესავენი ჩვენ ვართ სიკვდილის შვილთა ღმერთო მიბოძე წყალობა ჩვენზედ ცა მოიხილე. ღმერთო მომეცი გონება პირს ჯვარი დამესახოსა სიკვდილის ჟამი მეგონა მუდამ ეს გამეზრახოსა მენათლოს ბეჭედი რომ წმინდად შემინახოსა.